

ევროპული შეთანხმება
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმის წარმოებაში
მონაწილე პირთა შესახებ
სტრასბურგი, 5.03.1996

ქვემოთ ხელმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,
ითვალისწინებენ რა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა 1950
წლის 4 ნოემბერს ქ. რომში ხელმოწერილ კონვენციას (შემდგომში „კონვენციად,,
წოდებული“);
მხედველობაში იღებენ რა, ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა
სასამართლოს საქმის წარმოებაში მონაწილე პირთა შესახებ ევროპულ შეთანხმებას,
რომელსაც ხელი მოეწერა 1969 წლის 6 მაისს ლონდონში;
ითვალისწინებენ რა, 1994 წლის 11 მაისს ქ. სტრასბურგში ხელმოწერილი კონვენციის
მე-11 ოქმს, (შემდგომში „კონვენციის მე-11 ოქმად,, წოდებული“), რომელიც ცვლის
საკონფრონტო მექანიზმების სტრუქტურასა და რომელიც ევროპული კომისიისა და
ადამიანის უფლებათ სასამართლოს ნაცვლად აარსებს მუდმივმოქმედ ადამიანის
უფლებათა ევროპულ სასამართლოს (შემდგომში „სასამართლოდ,, წოდებული“)
ასეთი განვითარების შესაბამისად, მხედველობაში იღებენ იმას, რომ კონვენციის
მიზნების უკეთ განხორციელებისათვის მიზანშეწონილია, რომ სასამართლოს საქმის
წარმოებაში მონაწილე პირებს ადამიანი უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმის
წარმოებაში მონაწილე პირთა შესახებ ახალი ევროპული შეთანხმებით (შემდგომში
„წინამდებარე შეთანხმებად,, წოდებული“) მიენიჭოთ გარკვეული იმუნიტეტი და
საშუალებები,
შეთანხმდნენ შემდეგი:

მუხლი 1

1. წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება შემდეგი პირების მიმართ:
 - ა) სასამართლოში წარმოებულ საქმეში მხარეებად, მათ წარმომადგენლებად და მრჩევლებად მონაწილე ნებისმიერი პირები;
 - ბ) სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმეები და ექსპერტები, ისევე როგორც
საქმის წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად სასამართლოს პრეზიდენტის მიერ
მიწვევული სხვა პირები.
2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი „სასამართლო“, მოიცავს
კომიტეტებს, პალატებს, უზენაესი პალატის პრეზიდიუმს, უზენაეს პალატასა და
მოსამართლეებს. ტერმინი „საქმის წარმოებაში მონაწილეობა“, მოიცავს მიმოწერას
კონვენციის წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ სარჩელის მიზნით.
3. თუ მინისტრთა კომიტეტის მიერ კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით მასზე
დაკისრებული ფუნქციების შესრულების დროს, წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტში
აღნიშნულ ნებისმიერ პირს, ეთხოვება გამოცხადეს ან წარადგინოს წერილობითი
განცხადებები მინისტრთა კომიტეტის წინაშე, ამ შემთხვევაში წინამდებარე
შეთანხმების დებულებები გამოიყენება მასთან მიმართებაში.

მუხლი 2

1. წინამდებარე შეთანხმების პირველი მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ პირებს
ენიჭებათ იმუნიტეტი სამართლებრივი დევნისაგან, სასამართლოს წინაშე მათ მიერ

გაკეთებული ზეპირი ან წერილობითი განცხადებებისათვის ან წარდგენილი ღოკუმენტების ან სხვა მტკიცებულებებისათვის.

2. ეს იმუნიტეტი არ მოქმედებს სასამართლოში წარდგენილი ნებისმიერი ასეთი განცხადების, დოკუმენტების ან მტკიცებულებების თაობაზე სასამართლოს გარეთ მიმოწერასთან მიმართებაში.

მუხლი 3

1. ხელშემკვრელი მხარეები პატივს სცემენ წინამდებარე შეთანხმების პირველი მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ პირთა უფლებას იქონიონ თავისუფალი მიმოწერა სასამართლოსთან.

2. რაც შეეხება დაკავებულ პირებს, ამ უფლების განხორციელებაში იგულისხმება შემდეგი:

ა) მათი კორესპონდენციის გაგზავნა და ჩაბარება განხორციელდება ყოველგვარი დაგვიანებისა და გადაკეთების გარეშე;

ბ) ასეთი პირების მიმართ არ გამოიყენება არანაირი ფორმის დისციპლინარული ზომები, დაშვებული არხების მეშვეობით სასამართლოში გაგზავნილი რაიმე შეტყობინების გამო;

გ) ასეთ პირებს, სასამართლოში წარდგენილი სარჩელისა და ამით გამოწვეული ყველა პროცედურის შესახებ აქვთ მიმოწერისა და სხვათა დაუსწრებლად ისეთ ადვოკატთან კონსულტაციის უფლება, რომელიც კვალიფიცირებულია იმ სახელმწიფოს სასამართლოების წინაშე გამოსვლისათვის, სადაც ეს პირები არიან დაკავებულნი.

3. წინამდებარე პუნქტების გამოყენებისას, დაუშვებელია ჩარევა საჯარო ხელისუფლების მხრიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული და იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისათვის, სისხლის სამართლებრივი დანაშაულის გამოვლენის ან დევნისათვის ანდა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

მუხლი 4

1. ა) ხელშემკვრელი მხარეები ხელს არ შეუშლიან წინამდებარე შეთანხმების პირველი მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ პირთა თავისუფალ გადაადგილებასა და მგბავრობას სასამართლო პროცესზე დასწრების ან უკან დაბრუნების მიზნით.

ბ) დაუშვებელია მათი გადაადგილებისა და მგბავრობის შეზღუდვა, გარდა კანონით გათვალისწინებული და იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებისათვის, ან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის, ჯანმრთელობის ან გნეობის ანდა სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

2. ა) ტრანზიტის ქვეყნებში ან სასამართლო პროცესის ადგილმდებარეობის სახელმწიფოში დაუშვებელია ამ პირთა დევნა ან დაკავება, ან მატ მიმართ, მათი პირადი თავისუფლების

ნებისმიერი სხვა შეზღუდვა იმ ქმედებებისა და სასჯელებისათვის, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ მოგზაურობის დაწყებამდე.

ბ) ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის, რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ

წინამდებარე პუნქტის დებულებები არ გამოიყენება მისი მოქალაქეების მიმართ. ასეთი განცხადება შესაძლებელია გამოფანილ იქნას ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინებით.

3. ხელშემკვრელი მხარეები კისრულობები ვალდებულებას მათ ტერიტორიაზე შეუშვან ყველა ის დაბრუნებული პირები, რომლებმაც თავისი მოგზაურობა დაიწყეს მათი ტერიტორიიდან.

4. წინამდებარე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დებულებები წყვეტენ მოქმედებას, როდესაც ასეთ პირს 15 თანმიმდევრული დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც სასამართლო აღარ საჭიროებდა მის დასწრებას, ჰქონდა შესაძლებლობა დაბრუნებულიყო იმ სახელმწიფოში, რომელშიც დაიწყო მისი მოგზაურობა.

5. როდესაც არსებობს კონფლიქტი ხელშემკვრელი მხარის მიერ სხვა ხელშემკვრელ მხარეებთან წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტია და ევროპის საბჭოს კონვენციით, ან ექსტრადიციის შესახებ ხელშემკრულებით ან სისხლისსამართლებრივ საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ სხვა ხელშემკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს შორის, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებებს გააჩნიათ უპირატესი ძალა.

მუხლი 5

1. წინამდებარე შეთანხმების პირველი მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ პირებს ენიჭებათ იმუნიტეტი და შესაძლებლობები მხოლოდ იმისათვის, რათა უბრუნველყოფილ იქნას მათვის სიტყვის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რაც აუცილებელია მათი ფუნქციების, ამიოცანების ან მოვალეობების შესრულებისათვის ან სასამართლოსთან მიმართებაში მათი უფლებების გამოყენებისათვის.

2. ა) მხოლოდ სასამართლოს გააჩნია კომპეტენცია სრულად ან ნაწილობრივ მოხსნას ამ შეთანხმების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმუნიტეტი. სასამართლო არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მოხსნას იმუნიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მისი აბრით აღნიშნული იმუნიტეტი შეაფერხებს მართმსაჯულების განხორციელებას და თუ იმუნიტეტის სრული ან ნაწილობრივი მოხსნა გაიანს არ მიაყენებს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიზანს.

ბ) იმუნიტეტი შეიძლება მოხსნილ იქნას სასამართლოს მიერ ან ეხ ოფფიციო, ან ნებისმიერი ხელშემკვრელი მხარის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

გ) იმუნიტეტის მოხსნის ან მოხსნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებებს თან უნდა დაერთოს განცხადება გამომწვევ მიზებთა შესახებ.

4. თუ ხელშემკვრელი მხარე ადასტურებს, რომ წინამდებარე შეთანხმების მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმუნიტეტის მოხსნა აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული საქმის წარმოებისათვის, სასამართლო მოუხსნის იმუნიტეტს მოწმობაში მითითებული ზომით.

5. რაიმე ასეთი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელსაც თავისი ბუნებიდან გამომდინარე შეუძლია გადამწყვეტი ზეგავლენა იქონიოს და რომელიც იმუნიტეტის მოხსნაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას უცნობი იყო მოთხოვნის ავტორისათვის, ამ უკანასკნელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ახალი

მოთხოვნით.

მუხლი 6

წინამდებარე შეთანხმებაში არაფერი იქნა გაგებული როგორც კონვენციითა და მისი ოქმებით ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემზღვეველი ან მათი უგულვებელყოფელი.

მუხლი 7

წინამდებარე შეთანხმება დიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც სავალდებულობაზე მათი თანხმობის გამოხატვა შეუძლიათ:

1. რაგიფიცირების, მიღების ან მოწონების აუცილებლობის შესახებ დათქმის გარეშე ხელმოწერით; ან

რაგიფიცირების, მიღების ან მოწონების ქვემდებარე ხელმოწერით, რომელსაც მოჰყვება რაგიფიცირება, მიღება ან მოწონება.

2. რაგიფიცირების, მიღების ან მოწონების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

მუხლი 8

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა ამ თვის პირველი დღიდან, რომელიც მოჰყვება ერთოვან პერიოდს იმ თარიღიდან, როდესაც მე-7 მუხლის დებულებათა შესაბამისად ევროპის საბჭოს ათმა წევრმა სახელმწიფომ გამოხატა თანხმობა ხელშეკრულების სავალდებულობაზე, თუ ამ დღისათვის კონვენციის მე-11 ოქმი ძალაშია შესული ან წინააღმდეგ შემთხვევაში კონვენციის მე-11 ოქმი ძალაში შესვლის თარიღიდან.

2. ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თანხმობას მის სავალდებულობაზე, წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ერთოვანი ვადის ამოწურვას ხელმოწერის, ან სარაგიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების ან მოწონების შესახებ სიგელის დეპონირების თარიღს.

მუხლი 9

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს სარაგიფიკაციო, მიღების ან მოწონების სიგელებს დეპონირებისას ან ნებისმიერ შემდგომ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელმწიფო მიმართული განცხადებით, შეუძლია გააფართოვოს ამ შეთანხმების მოქმედება ნებისმიერ ტერიტორიაზე რომელიც მითითებულია განცხადებაში და რომლის საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაზე იგი არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელით იგი უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.

2. პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებულ განცხადებაში მითითებული ტერიტორიის ან ტერიტორიებისათვის წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ერთოვანი ვადის ამოწურვას, გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების თარიღიდან.

3. პირველი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ამ განცხადებაში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შესაძლებელია იქნას გამოთხოვილი, იმ პროცედურების შესაბამისად, რომელსაც წინამდებარე შეთანხმების

მეათე მუხლი ადგენს დენონსაციისათვის.

მუხლი 10

1. წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს განუსაზღველი ვადით.
2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ შეთანხმების დენონსაცია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელმწერი გაკეთებული შეტყობინების მეშვეობით.
3. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ექვსი დღის შემდეგ. აასეთი დენონსაცია არ ათავისუფლებს დაინტერესებულ ხელშემკვრელ მხარეებს იმ ნებისმიერი ვალდებულებებისაგან რომლებიც შესაძლებელია წარმოშობილიყო წინამდებარე შეთანხმებით პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ნებისმიერ პირთან დაკავშირებით.

მუხლი 11

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს:

- ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- ბ. სარატიფიკაციო, მიღების ან მოწონების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დეპონირების ან მიერთების სიგელის დეპონირების თაობაზე;
- გ. ამ შეთანხმების ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ მე-8 და მე-9 მუხლების შესაბამისად;
- დ. ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებული მიმოწერის შესახებ.
- ე. ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერმა, რომლებიც ამისათვის სათანადოდ იყვნენ უფლებამოსილი ხელი მოაწერეს წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია სტრასბურგში, 1996 წლის მარტის თვის მე-5 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან თრივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური, შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც შეინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს.